სკოლის დასახელება	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელ სავანის საჯარო სკოლა
მასწავლებელი	ნათია ზაქაშვილი
ნაწყვეტი წიგნიდან	„ჩვენი სამხრეთი“
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი საფეხური, მე-6 კლასი
მისაღწევი შედეგები	✓ ტექსტის მოსმენა, წაკითხვა, გაგება-გააზრება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ✓ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის და მასში განხილული საკითხების მიმართ. ნაწარმოების პერსონაჟის, მისი ქცევის შეფასება და თავიანთი თვალსაზრისის ახსნა.
წინასწარი ცოდნა	მეექვსე კლასის მოსწავლეები ორ გუნდად მონაწილეობენ კონკურსში „ყველაზე წიგნიერი“. ამიტომ მოსწავლეთა ნაწილისთვის მარიანე კაურინის „ჩვენი სამხრეთი“ ნაცნობი ნაწარმოებია, გარდა ამისა მოსწავლეები ხშირად ამუშავებენ და აანალიზებენ მათთვის უცნობ ტექსტებს, კარგად შეუძლიათ დაახასიათონ პერსონაჟი, ამოიცნონ მისი მიზნები, ფიქრები, ქმედებები...
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)	აქტივობების განსახორციელებლად დაგვჭირდა ორი გაკვეთილი, აქტივობების თანმიმდევრობა არ შეგვიცვლია, აქტივობები განვახორციელეთ გეგმაში გაწერილი თანმიმდევრობით.
აქტივობა 1	<table><tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr></table> **აქტივობის მიზანი:** ტექსტზე მუშაობა, საჩვენებელი კითხვა და კითხვა გაგრძელებით, „სიტყვის გამომძიებელზე“ (დანართი 1) მუშაობა, კითხვა-პასუხი. **აქტივობის აღწერა:** თავდაპირველად მუშაობას ვიწყებთ „სიტყვის გამომძიებელზე“, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს ტექსტიდან წინასწარ ამოწერილ და ფლიფჩარტზე ჩამოწერილი სიტყვების მნიშვნელობას, თან მოსწავლეთა განმარტებებს წერს ფლიფჩარტზე. მასწავლებელი იწყებს საჩვენებელ კითხვას, კითხულობს ტექსტის დასაწყისს. შემდეგ კი მოსწავლეები იწყებენ ხმამაღლა განგრძობით კითხვას. თან ვმუშაობთ „სიტყვის გამომძიებელზე“. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ვაანალიზებთ წაკითხულ მასალას, კითხვა-პასუხის დახმარებით. კითხვები არის ტექსტის ანალიზსა და შეფასებაზე ორიენტირებული. მაგალითად,

	✓ მონაკვეთის მიხედვით, რა შთაბეჭდილება გრჩებათ, როგორია დედა-შვილის ურთიერთობა? ✓ რატომ ვერ გამოუვიდა ინას საოცნებო ზაფხული? ✓ აღწერეთ ტიტენის დასახლება. ✓ მოცემული მონაკვეთის მიხედვით, რა ინფორმაცია გვაქვს ინაზე? ✓ რატომ დასცინეს ინას კლასელებმა პირველივე დღეს? ✓ რას ნიშნავს „პატიმარი + საკუთარი სახლი“ ✓ „ნეტავ რამე მოხდეს“, ფიქრობს ინა, თქვენი აზრით, „მოხდება რამე“? და ა.შ.
აქტივობა 2	**აქტივობის აღწერა** | **აქტივობის მიზანი** **აქტივობის მიზანი:** პერსონაჟის დახასიათება (დანართი 2). **აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები „პერსონაჟის რუკის“ დახმარებით ახასიათებენ მონაკვეთის მთავარ პერსონაჟ გოგონა ინას. მასწავლებელი ავსებს დაფაზე გამოკრულ სქემას მოსწავლეების დახმარებით.
აქტივობა 3	**აქტივობის აღწერა** | **აქტივობის მიზანი** **აქტივობის მიზანი: ცხრილის ,, 3-2-1 ’’ შევსება** ტექსტის უკეთ დამუშავება და გაგება-გააზრება. **აქტივობის აღწერა:** მიღებული ინფორმაციის გააზრების , დახარისხების, საკუთარი მოსაზრების გამართულად ჩამოყალიბების და მსჯელობის უნარის განვითარების მიზნით , მასწავლებელი დაფაზე აკრავს ცხრილს **,, 3-2-1“ .** 3 რამ, რაც მომეწონა; 2 რამ, რასაც შევცვლიდი ტექსტში; 1 რჩევა ავტორს/ პერსონაჟს; ცხრილის საშუალებით მე, როგორც მასწავლებელს შესაძლებლობა მეძლევა თვალი ვადევნო მოსწავლეების მიერ ტექსტის გააზრების პროცესს.

შენიშვნა: შეგიძლიათ ფორმას, სურვილისამებრ, მოაკლოთ ან დაამატოთ ელემენტები (მაგ., დანართები შეფასების რუბრიკები სახით).

დანართი 1.

ვიზუალური სქემა/ცხრილი „სიტყვების გამომძიებელი“

სიტყვა	**ჩემი ვარაუდით**	**ტექსტის მიხედვით**	**ლექსიკონის მიხედვით**
კრევეტები			

კურსები			
ვერანდა			
ბჟუტავს			
გატყიურებული...			



ყველაზე წიგნიერი